

№118/24

„01“ ნოემბერი 2024 წ.

-1-

სს. „ლიბერთი ბანკი“-ს ხელმძღვანელობას

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა, ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილი №6-ში მდებარე შენობისა და მის უკან მდებარე ტერიტორიაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისათვის

გამოკვლევა ჩატარდა ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილი №6-ში მდებარე შენობას (ს/კ№66.45.13.256. იხ. ფოტო 1;2) მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის თვალსაზრისით. აღნიშნული შენობის პირველი სართულის ნაწილში, გათვალისწინებულია სს „ლიბერთი ბანკი“-ს ფილიალის ფუნქციონირება. ბანკის ხელმძღვანელობის დავალებით საჭირო იყო დადგენილიყო შემდეგი:

-შენობის კონსტრუქციული ტიპი და მისი ტექნიკური მდგომარეობა.

- რამდენად შესაძლებელია არსებულ გადახურვის კონსტრუქციებზე შეკიდული ჭერის მოწყობა.

- რამდენად არის შესაძლებელი გარკვეულ ფართობში, ოქროსა და ფულის ნიშნების საცავების მოწყობა.

-რამდენად შესაძლებელია ბანკის უზანა ეზოში ბეტონის ზედაპირის მოწყობა და რა უნდა იყოს მისი სისქე?

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე გპასუხობთ შემდეგს :


-შენობა გეგმაში მართკუთხედთან მიახლოებული მოხაზულობისაა. მისი გაბარიტული სიგრძეა $L_1=48\text{მ}$. (ცხინვალის გზატკეცილის მართობულად). მისი მაქსიმალური სიგანეა 17.8მ (ცხინვალის გზატკეცილის გასწვრივ) მინიმალური გაბარიტული სიგანე (უკანა ეზოს გასწვრივ) $L_2=17.4\text{მ}$. შენობა ერთ სართულიანია, კონსტრუქციულად კარკასული ტიპის. მისი გადახურვები წარმოდგენილია ფოლადის წამწეებისაგან (ფერმებისაგან იხ. ფოტო3).



ფოტო 1. ქალქი გორი. ცხინვალის გზატკეცილი ქ.№6. საკვლევი შენობა (ს/კ№66.45.13.256), რომელშიც უნდა განთავსდეს სს „ლიბერთი ბანკი“-ს ფილიალი.



ფოტო 2. საკვლევი შენობის მთავარი ფასადი. ხედი ცხინვალის გზატკეცილის მხრიდან.




ფოტო 3.

წამწეები (ფერმები) დამზადებულია ფოლადის მართკუთხა განივკვეთის მქონე მილებისაგან, რომელთა ერთობლიობა (ძირითადი ფერმები; მათი დამაკავშირებელი განივი მიმართულების ელემენტები) ქმნის ერთიან სივრცულ სისტემას. ფოლადის კონსტრუქციები შედგებილია და ამგვარად დაცულია კოროზიისაგან. ბურულის მასალად გამოყენებულია სამფენოვანი პანელები (ე.წ. „სანდვიჩ-პანელები“). მანძილი იატაკის ნიშნულიდან (მივიღოთ პირობით ნიშნულად ± 0.00 მ) ფერმების ძირამდე 420სმ.

-კარკასის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები (სვეტები; გადახურვის ფერმები) იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. მათ არ აღენიშნებათ საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანებები და დეფორმაციები. მათი მუშაობა ეჭვს არ იწვევს.

- ვინაიდან ბანკის ფუნქციონირებას აღნიშნული ასეთი მაღალი ჭერი არ ესაჭიროება, საჭიროა შეკიდული ჭერის მოწყობა. შეკიდულ ჭერად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ე.წ. „არმსტრონგი“-ს ფილები, რომელთა სამონტაჟო უჯრედების ზომებია 60×60სმ. ამ ტიპის შეკიდული ჭერი მსუბუქია და მათთვის გადახურვის წამწეების (ფერმების) გამოყენება არავითარ საფრთხეს არ წარმოდგენს.

-წარმოდგენილი არქიტექტურული დაგეგმარების თანახმად ბანკის ფილიალის ერთ ნაწილში დადგენილია ოქროსა და ფულის ნიშნების საცავების მოწყობა (იხ. ფოტო 4). საბანკო მოთხოვნის თანახმად, ასეთი საცავები უნდა განთავსდეს სპეციალურ სივრცეში, კერძოდ კი მონოლითური რკინაბეტონის კედლებიან საცავში („შენობა შენობაში“). საცავების მოწყობა შესაძლებელია, მხოლოდ სამუშაოები უნდა იწარმოოს დამუშავებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით.



ფოტო 4. პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით დამუშავებული გეგმარება. ზედა მარცხენა კუთხესთან (დაშტრიხულია მოწითალო ფერით) მოცემულია ფულის ნიშნების საცავი (ფართობი №40 $A=11.7\text{მ}^2$); ოქროს საცავი (ფართობი №41. $A=15.2\text{მ}^2$);

- მიმდინარე წელს შ.პ.ს. „არქსტუდიო“-ს მიერ, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენისათვის ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიება.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე მოედნის გეოკლოგიური ჭრილი დაძიებულ სიღრმემდე გამოიყურება შემდეგნაირად:

ფენა 1. -ნაყარი ტექნოგენური გრუნტი. დემონტირებული შენობის ნარჩენების; სამშენებლო მასალების; (აგურის ნატეხები) და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნარევი. არაერთგვაროვანი, შეუკავშირებელი. ფენის სიმძლავრე 0.00-დან 1.2-1.3მ.-მდე.

ფენა 2. -თიხა დელუვიური წარმოშობის (dQIV). მოყვითალო-ყავისფერი. ჩანართების გარეშე. ფენა სუსტია. მხოლოდ 0.30-0.40მ. ფენის სიმძლავრე 1.2მ.-დან 1.50-1.60მ.-მდე.

ფენა 3. -მსხვილნატეხოვანი გრუნტი. ალუვიური წარმოშობის. წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით. სიღრმის მატებასთან ერთად გვხვდება კაჭარიც. ფენის სიმძლავრე 1.2მ.-დან 1.50-1.60მ.-მდე.

ფენების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში

ცხრილი

##	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები		
		ფენა 1 ნაყარი	ფენა 2 თიხა	I სვე
1	სიმკვრივე ρ გ/სმ ³	1,78	1.88	2.03
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ ²)	0,04	43 (0.43)	2 (0.02)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	18 ⁰	16 ⁰	42 ⁰
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ ²)	9 (90)	15 (150)	40 (400)
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ ²)	100 (1,0)	220 (2.2)	400 (4,0)
9	საგებობის კოეფიციენტი K კგ/სმ ³	1.5	3.0	6,0
10	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42	0.42	0,27

ჰიდროგეოლოგიის თვალსაზრისით, გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ყველა (სამივე) შურფში. დამყარების დონე 3.2მ. მიწის ზედაპირიდან. გრუნტის წყლის დონის ცვალებადობის ამპლიტუდა არ შესწავლილა და გეოლოგების რეკომენდაციით იგი საორიენტაციოდ შეიძლება მიღებული იქნას ± 0.5 მ. დამყარების დონესთან შედარებით.

ასეთი მონაცემების საფუძველზე გაცნობებთ რომ:

ფენა 1 (ნაყარის) დაბალი მახასიათებლების გამო იგი მთლიანად უნდა იქნას მოხსნილი.

ფენა 2-ს გააჩნია სათანადო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მხოლოდ მცირეა მისი სიმძლავრე,

აქედან გამომდინარე, საყრდენ გრუნტად უნდა მივიღოთ ფენა 3 კენჭნარი.

- ზედაპირის მოსაწყობად უნდა მოიჭრას გრუნტი ფენა 3-მდე (კენჭნარამდე) 150-160სმ. სიღრმეზე. უნდა დაიყაროს 120-130-სმ. სისქის მდინარის ბალასტი, რომელიც შემკვრივდება ვიბროსატკეპნით. შემდეგ მოეწყობა 10სმ. სისქის გამასწორებელი ფენა წვრილი ღორღისაგან (ფრაქციის სისქით 20მმ), რომელზედაც მოეწყობა მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 20სმ. ბეტონის კლასი B25. ფილის ორივე ფენაში გამოყენებული იქნება არმატურის მუშა ღეროები Ø12A500C. ბიჯი 20-25სმ. ამგვარად მოწყობილი ზედაპირი უზრუნველყოფს პრაქტიკულად ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ათვისებას.

შ.პ.ს. "მონოლითი+"-ს
დირექტორი.

/გ. იაშვილი/



მთავარი ინჟინერი.

/მ. საველიძე/